

მე-9 კლასი **ძირითადი დავალებები (100 ქულა)**

ალგებრა

- (8 ქულა)** $(x - \sqrt{8})(\sqrt{73} - x)$ გამოსახულება x -ის რამდენი მთელი მნიშვნელობისთვის არის დადებითი?
A. 8 B. 7 C. 6
- (8 ქულა)** კატერის საკუთარი სიჩქარეა 10კმ/სთ, ხოლო მდინარის 2კმ/სთ. იპოვეთ ნავსადგურებს შორის მანძილი, თუ კატერი ერთი ნავსადგურიდან მეორეში ჩასვლას და უკან დაბრუნებას 10სთ-ს ანდომებს.
A. 48კმ B. 42კმ C. 40კმ
- (8 ქულა)** იპოვეთ $x^2 + y^2$, თუ $y = 7 - x$ და $x = \frac{12}{y}$
A. 22 B. 25 C. 36

გეომეტრია

- (8 ქულა)** რისი ტოლი შეიძლება იყოს ტოლფერდა სამკუთხედის პერიმეტრი, თუ მისი ერთ-ერთი გვერდი ჩახაზულ წრეწირთან შეხების წერტილით იყოფა 10-ის და 12-ის ტოლ ნაწილებად?
A. 68 B. 62 C. 58
- (10 ქულა)** თუ წრფე კვადრატს ორ ტოლ ნაწილად ჰყოფს, მაშინ ეს წრფე აუცილებლად გადის კვადრატის
A. წვეროზე B. რომელიმე გვერდის შუაწერტილზე C. დიაგონალების გადაკვეთის წერტილზე
- (10 ქულა)** იპოვეთ ტოლფერდა სამკუთხედის წვეროში მდებარე კუთხე, თუ ფუძე ფერდზე $\sqrt{3}$ -ჯერ მეტია.
A. 120° B. 135° C. 150°

ლოგიკა

- (11 ქულა)** 12×12 კვადრატი დაყოფილია 1×1 უჯრებად. გააფერადეს ამ კვადრატის 3 სტრიქონი. სულ მცირე რამდენი სვეტი უნდა გააფერადონ, რომ გაფერადებული უჯრების რაოდენობა მეტი იყოს გაუფერადებული უჯრების რაოდენობაზე?
A. 5 B. 3 C. 2
- (12 ქულა)** აირჩიეთ ისეთი ნატურალური რიცხვი, რომლისთვისაც შემდეგი პირობებიდან ორი ქვემარტივა, ერთი კი მცდარი: 1. ორნიშნა რიცხვია; 2. ციფრთა ნამრავლი 49-ის ტოლია; 3. ციფრთა ნამრავლი 50-ის ტოლია.
A. 50 B. 255 C. 77

რიცხვთა თეორია

- (12 ქულა)** ჩამოთვლილი რიცხვებიდან რომელი შემცირდება 9-ჯერ, თუ წავშლით მის ჩანაწერში ერთ-ერთ ციფრს?
A. 162 B. 225 C. 765
- (13 ქულა)** ქვემოთ ჩამოთვლილი რიცხვებიდან, რომლით არ შეიძლება ბოლოვდებოდეს რიცხვის კვადრატი?
A. 44 B. 61 C. 66

ბონუს დავალებები (20 ქულა)

ბონუს ქულა ჯამურ შედეგს დაემატება იმ შემთხვევაში, თუ მონაწილე ტესტის ძირითად ნაწილში დაკარგავს ქულას.

- კითხვა ფინანსური განათლებიდან: (5 ქულა)** ბანკში გაცვლითი კურსია 1 დოლარი = 2,97ლარი, ხოლო სავალუტო ჯიხურში 1 დოლარი = 2,95 ლარი. თუკლამ ბანკში 1200 დოლარით შესაბამისი ოდენობის ლარი შეიძინა. რამდენ ლარს იზარალებდა თუკლა, თუ ის ბანკის ნაცვლად სავალუტო ჯიხურს მიაშურებდა?
A. 24 ლარს B. 12 ლარს C. 30 ლარს
- „თიბისის“ კითხვა: (5 ქულა)** თიბისის საქართველოში საუკეთესო პერსონალური საბანკო მომსახურებისთვის დაჯილდოვდა 2019 წლის ნოემბრის თვეში, იმ თარიღში, რომლის რიცხვიც და თვის აღმნიშვნელი რიცხვიც ერთმანეთს ემთხვევა. როდის დაჯილდოვებულა თიბისი?
A. 9 ნოემბერს B. 9 სექტემბერს C. 11 ნოემბერს
- Cavea-ს კითხვა: (5 ქულა)** კავეას კინოთეატრში ორშაბათის სეანსზე, ყველას, ვინც Visa ბარათით ბილეთს შეძენს, მეორე ბილეთს უფასოდ ჩუქნიან. სულ რამდენ ბილეთს გასცემდა კავეა იმ ორშაბათის სეანსზე, რომელზეც ბილეთი 700-მა მაყურებელმა შეიძინა და აქედან, Visa ბარათით გადაიხადა 450-მა?
A. 1150 B. 700 C. 900
- „მაგთის“ კითხვა: (5 ქულა)** მაგთის მიერ ორგანიზებულ ფოტოკონკურს „რაკურსში“ პირველი, მეორე და მესამე ადგილოსნებისთვის ჯამში საპრიზო ფონდი 10 000 ლარს შეადგენს. პირველ ადგილოსანს გადაეცემა ჯილდოდ სრული საპრიზო ფონდის 50%, ხოლო მესამე ადგილოსანს პირველადგილოსნის ჯილდოს 40%. რა თანხით ჯილდოვდება მეორე ადგილზე გასული კონკურსანტი?
A. 5000 B. 3000 C. 2000

*გაეცი მაგთის ბონუს კითხვას სწორი პასუხი, გახდი მაგთის აკადემიური კლუბის წევრი და მიიღე უფასო სიმ ბარათი, სიგელი, ყოველთვიური 100მზ, 100 SMS და 30 წუთი საჩუქრად.

*გაეცი თიბისის ბონუს კითხვას სწორი პასუხი და აიღე მოსწავლის #1 ბარათი, კინგის დიზაინით, უფასოდ, თიბისი ბანკის ნებისმიერ ფილიალში.

